CMR-ф

ხელშეკრულება №2019/041

„შენობის დასრულების სამუშაოები“ (CPV კოდი: 45400000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

30 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში `შემსყიდველი~) მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ნიგო“ (ს/ნ 416311048)** (შემდგომში `მიმწოდებელი~), მისი დირექტორის **ლევან ქლიბაძის** სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ თანხაზე:

4587.76 (ოთხი ათას ხუთას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 76 თეთრი) ლარი

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“)

მხარეები ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდის ოთახის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები („შენობის დასრულების სამუშაოები“ CPV კოდი: 45400000)

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	1. დემონტაჟის სამუშაოები									
1	კედლებიდან საღებავის მოხსნა, დაკეჭვნა	კვ.მ.	64,90		-	2,50	162,25		-	162,25
2	ჭერიდან საღებავის მოხსნა	კვ.მ.	39,41		-	3,00	118,23		-	118,23
3	კარის ბლოკის დემონტაჟი	კვ.მ.	3,56		-	5,00	17,80		-	17,80
4	შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან	ტონა	0,31		-	5,00	1,56		-	1,56
5	ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	ტონა	0,31		-	5,00	1,56		-	1,56

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
6	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტონა	0,31		-	20,00	6,24		-	6,24
	ჯამი									307,63
	ზედნადები ხარჯები	%	10,00							30,76
	ჯამი									338,40
	მოგება	%	8,00							27,07
	ჯამი 1									365,47
	2. სამშენებლო სამუშაოები									
	კედლები									
1	კედლების მაღალხარისხოვანი ლესვა ცემენტის ხსნარით	კვ.მ.	0,50	5,00	2,50	6,00	3,00	1,00	0,50	6,00
2	კარ-ფანჯრების შიდა ფერდოების ცემენტის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	1,70	5,00	8,50	6,00	10,20	1,00	1,70	20,40
3	კედლების ფითხით დამუშავება და მაღალხარისხოვანი შელებვა წყალგაუმტარი საღებავით ორჯერ	კვ.მ.	65,00	3,00	195,00	6,00	390,00	1,00	65,00	650,00
	იატაკი				-		-		-	-
4	ცემენტის ხსნარით მოჭიმვა, სისქით 20 მმ	კვ.მ.	39,41	3,00	118,23	5,00	197,05	1,00	39,41	354,69
5	იატაკის მოწყობა ლინოლეუმით ხის პლინტუსის გათვალისწინებით	კვ.მ	39,41	10,00	394,10	5,00	197,05	0,10	3,94	595,09
6	პლინტუსზე ორი პირი ლაქის წასმა	გრძ.მ.	25,00	2,00	50,00	2,00	50,00	0,10	2,50	102,50
	ჭერი				-		-		-	-
7	ჭერის ფითხით დამუშავება და წყალემულსიური საღებავით ორჯერ შელებვა	კვ.მ.	39,41	2,00	78,82	6,00	236,46	0,10	3,94	319,22
	კარ-ფანჯრები				-		-		-	-
8	ლითონის კარის მონტაჟი და ღირებულება	კვ.მ.	3,56	90,00	320,40	88,00	313,28	1,00	3,56	637,24
9	ლითონის კარის შელებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	კვ.მ.	3,56	5,00	17,80	5,00	17,80	1,00	3,56	39,16
	ჯამი									2 724,30
	ზედნადები ხარჯები	%	10,00							272,43
	ჯამი									2 996,73
	მოგება	%	8,00							239,74
	ჯამი 2									3 236,47
	1+2 თავების ჯამი									3 601,94
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	%	5,00							180,10
	ჯამი									3 782,04
	დღგ	%	18,00							680,77
	ჯამი									4 462,80
	ექსპერტიზის ღირებულება	%	2,80							124,96
	ჯამი									4 587,76

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4587.76 (ოთხი ათას ხუთას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 76 თეთრი) ლარს.**

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი წარმოადგენს შესაბამის სფეროში ექსპერტის მიერ გაცემულ დასკვნას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის შესახებ.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5. დაფინანსების წყარო: **2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირების დასკვნა.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაალ აბაშიძე.

6. სამუშაოს მიწოდების წესი და ადგილი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ.N1/3 .

6.2. სამუშაო შესრულების ვადები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარული დღე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**

8. მხარეთა უფლება – მოვალეობები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო სამუშაო.

8.2. მიმწოდებელმა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განახორციელოს დეფექტური აქტის და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე;

8.3. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაცია უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ, მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი მშენებლობის პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე;

8.4. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა, ან მოწყობილობა, ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

8.5. შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს 2 (ორი) წლიანი გარანტია, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა;

8.6. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

8.7. მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების პარალელურად საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ტერიტორიიდან სამშენებლო ნარჩენების და ნაგვის მოგროვება და გატანა, სამუშაოების დასრულებისთანავე კი გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისა და სხვადასხვა ნარჩენებისგან;

8.8. მიმწოდებლის ვალდებულება სამუშაოს გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის სამუშაოს გადაცემის მომენტიდან. სამუშაოს გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი.

8.9. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს სამუშაო და გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

9.1.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურების შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან ამოწმებს და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით კონტროლის განმახორციელებელი პირი, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

9.2. ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ლაშა კალაძე.

9.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

9.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დაეკისროთ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4. დაკისრებული პირგასამტეხლო/ჯარიმა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.5 თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე გაფრთხილებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღეში არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანმხდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნება დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ კორნელი კეკელიძის
სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ს/კ: 211368474
ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1/3,
ტელ 247-42-42
სახელმწიფო ხაზინა

მიმწოდებელი :
შპს „ნიგო"

ს/კ 416311048
ქ.რუსთავი, მე-17 მ/რ, 14-107
ტელ.: 551 74 68 20
ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE41BG 0000 0009 1100 7000

დირექტორი

/ზაალ აბაშიძე/

დირექტორი

/ლევან ქლიბაძე/